



თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა
კურსების კატალოგი

საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამა
„მენეჯერული უნარ-ჩვევები“

მიზანი:

საჯარო სამსახურში დასაქმებულ I და II რანგის მოხელეთათვის მენეჯერული უნარების განვითარება.

განსახილველი საკითხები:

- სტრატეგიული მართვა-დაგეგმვა;
- მომსახურებისა და ხარისხის მართვა;
- რისკების მართვა;
- ცვლილებების მართვა,
- გადაწყვეტილების მიღება, ლიდერობა და გუნდის მართვა, გუნდის გაძლიერება და მოტივირება;
- გენდერული თანასწორობა და სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე;
- ეფექტური კომუნიკაცია და ეფექტური მოლაპარაკებები, მედიასთან ურთიერთობა და საჯარო გამოსვლა;
- საჯარო სამსახურის ეთიკა, კონფლიქტების მოგვარება, ორგანიზაციული კულტურა, ანტიკორუფციული პოლიტიკა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საშუალებები.

კურსის მოსალოდნელი შედეგები:

- ორგანიზაციული პროცესების და მართვის კომპონენტების ცოდნა/გააზრება;
- გუნდის მართვის მიდგომების ცოდნა/ გააზრება;
- კომუნიკაციის მეთოდებისა და ტექნიკის ცოდნა/გააზრება;
- მოხელის შეფასების მეთოდების ცოდნა/გააზრება;
- მოტივაციის სისტემების პრინციპების ცოდნა/გააზრება;
- ცვლილებების მართვის ძირითადი პრინციპებისა და სტანდარტების ცოდნა/გააზრება.

კურსის შედეგად განვითარებული უნარები:

- ეფექტური კომუნიკაცია და მოლაპარაკებების წარმართვის უნარი;
- საჯარო დაწესებულების წარმომადგენლობის უნარი;
- სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნების უნარი;
- სტრუქტურული ერთეულისა და ინდივიდუალური ამოცანების დასახვის უნარი;
- ცვლილებების/სიახლეების ინიცირების და მართვის უნარი;
- თათბირებისა და შეხვედრების წარმართვის უნარი;
- მოხელის პროფესიული განვითარების, შეფასებისა და მოტივირების უნარი;
- გუნდის განვითარების უნარი;
- პრობლემის გადაჭრისა და კონფლიქტების მართვის უნარი.

სწავლების ფორმა: კურსი (საკლასო მეცადინეობა/ონლაინ სწავლება).

სწავლების მეთოდოლოგია:

- გონებრივი იერიში
- შემთხვევების ანალიზი
- დისკუსია
- კოლაბორაციული სწავლება
- სავარჯიშოები
- მოწვეული სპიკერები
- სალექციო კურსი
- პრობლემების გადაჭრის სავარჯიშო
- შემაჯამებელი დისკუსია
- როლური თამაშები
- თხრობა
- პრეზენტაციები
- დამატებითი საკითხავი მასალები
- Team building სავარჯიშოები

სამიზნე აუდიტორია: თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის მაღალი მმართველობითი დონე.

კურსის ხანგრძლივობა: 7 / 11 დღე.

მონაწილეთა რაოდენობა: არაუმეტეს 20 მონაწილე.

სწავლების ენა: ქართული.

კოდი: MS-2021.